




INNOX

We Do Finance

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „პრაიმ თაიმი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა1-3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....4

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....5

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება6

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....8-26

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „პრაიმ თაიმის“ აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პრაიმ თაიმისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის სს „მედია ჰოლდინგის“ (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრადში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს ნაჩვენებია მე-11 განმარტებით შენიშვნაში, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი შეადგენს შესაბამისად (436,236) ლარსა და 2,664,005 ლარს, საიდანაც, 6,786,681 ლარი არის შევსებული არაფულადი შენატანების გზით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება შენატანის განხორციელების მომენტში ამ ჯგუფში შემავალი 1,102,949 ლარის ღირებულების აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებულ

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედრაშია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

31 დეკემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674)

გარიგების პარტნიორი ირაკლი ჭილაძე ს/ნ: SARAS-A-509177

შპს ინოქსის სახელით ს/ნ: SARAS-F-481994

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „პრაიმ თაიმის“ აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პრაიმ თაიმისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის სს „მედია ჰოლდინგის“ (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრადში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს ნაჩვენებია მე-11 განმარტებით შენიშვნაში, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი შეადგენს შესაბამისად (436,236) ლარსა და 2,664,005 ლარს, საიდანაც, 6,786,681 ლარი არის შევსებული არაფულადი შენატანების გზით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება შენატანის განხორციელების მომენტში ამ ჯგუფში შემავალი 1,102,949 ლარის ღირებულების აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებულ

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

31 დეკემბერი 2024

შპს „ინოქსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674)



გარიგების პარტნიორი ირაკლი ჭილაძე ს/ნ: SARAS-A-509177

შპს ინოქსის სახელით ს/ნ: SARAS-F-481994

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,306,087	4,039,528
არამატერიალური აქტივები	5	4,149,263	3,873,763
აქტივის გამოყენების უფლება	6	430,308	552,342
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,885,658	8,465,633
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		225,528	79,527
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	14,844	38,454
გაცემული სესხი	8	3,379,113	2,945,305
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	6,545,575	4,693,210
ფული და ფულის ექვივალენტები	10	834,825	482,668
სულ მიმდინარე აქტივები		10,999,885	8,239,164
სულ აქტივები		18,885,543	16,704,797
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		21,488	21,488
დაგროვილი ზარალი		(68,018,548)	(39,600,610)
მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისათვის		(67,997,060)	(39,579,122)
არამაკონტროლებელი წილი		(436,236)	2,664,005
სულ კაპიტალი	11	(68,433,296)	(36,915,117)
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები	12	82,120,678	46,245,311
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,790,370	7,124,294
ანარიცხები	15	407,791	250,309
სულ მიმდინარე ვალდებულებები		87,318,839	53,619,914
სულ ვალდებულებები		87,318,839	53,619,914
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,885,543	16,704,797

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 დეკემბერს.

გიორგი ქუთათელაძე
დირექტორი

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,306,087	4,039,528
არამატერიალური აქტივები	5	4,149,263	3,873,763
აქტივის გამოყენების უფლება	6	430,308	552,342
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,885,658	8,465,633
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		225,528	79,527
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	14,844	38,454
გაცემული სესხი	8	3,379,113	2,945,305
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	6,545,575	4,693,210
ფული და ფულის ექვივალენტები	10	834,825	482,668
სულ მიმდინარე აქტივები		10,999,885	8,239,164
სულ აქტივები		18,885,543	16,704,797
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		21,488	21,488
დაგროვილი ზარალი		(68,018,548)	(39,600,610)
მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისათვის		(67,997,060)	(39,579,122)
არამაკონტროლებელი წილი		(436,236)	2,664,005
სულ კაპიტალი	11	(68,433,296)	(36,915,117)
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები	12	82,120,678	46,245,311
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,790,370	7,124,294
ანარიცხები	15	407,791	250,309
სულ მიმდინარე ვალდებულებები		87,318,839	53,619,914
სულ ვალდებულებები		87,318,839	53,619,914
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,885,543	16,704,797

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 დეკემბერს.

გიორგი ქუთათელაძე
დირექტორი




შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		14,638,047	10,509,008
სახელფასო ხარჯი	14	(26,657,782)	(26,008,250)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(16,194,115)	(13,963,846)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	16	(3,047,575)	3,211,435
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	17	(256,754)	(1,492)
ზარალი დაბეგვრამდე		(31,518,179)	(26,253,145)
მოგების გადასახადის ხარჯი	18	-	-
წმინდა ზარალი		(31,518,179)	(26,253,145)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(31,518,179)	(26,253,145)
წმინდა ზარალი, რომელიც ეკუთვნის:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		(28,417,938)	(23,619,182)
არამაკონტროლებელი წილი		(3,100,241)	(2,633,963)
წლის სრული შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის:			
მშობელი საწარმოს მფლობელებს		(28,417,938)	(23,619,182)
არამაკონტროლებელი წილი		(3,100,241)	(2,633,963)

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(31,518,179)	(26,253,145)
კორექტირებები:		7,755,209	1,003,843
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	9	239,204	415,643
ცვეთა და ამორტიზაცია	4.5.6	4,468,430	3,799,635
საპროცენტო ხარჯი	16	2,887,323	1,281,983
საპროცენტო შემოსავალი	16	(403,312)	(302,174)
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	16	563,564	(4,191,244)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		(23,762,970)	(25,249,302)
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(146,001)	(12,813)
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		23,610	(21,892)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(2,064,980)	306,115
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(2,319,397)	2,154,190
ცვლილებები ანარიცხებში		157,482	140,185
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(28,112,256)	(22,683,517)
პროცენტის მიღება		24,404	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(28,087,852)	(22,683,517)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	4	(746,179)	(884,030)
არამატერიალური აქტივების შეძენა	5	(3,221,095)	(3,708,143)
არამატერიალური აქტივების გასვლა	5	78,819	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,888,455)	(4,592,173)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის გაცემა / დაბრუნება	8	(54,900)	(1,504,153)
სესხის მიღება / გადახდა	12	32,402,766	28,847,477
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		32,347,866	27,343,324
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		482,668	457,266
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(19,402)	(42,232)
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		371,559	67,634
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		834,825	482,668

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისათვის			არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,488	(15,981,427)	(15,959,939)	5,297,967	(10,661,972)
წმინდა ზარალი	-	(23,619,182)	(23,619,182)	(2,633,963)	(26,253,145)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(23,619,182)	(23,619,182)	(2,633,963)	(26,253,145)
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,488	(39,600,610)	(39,579,122)	2,664,005	(36,915,117)
წმინდა ზარალი	-	(28,417,938)	(28,417,938)	(3,100,241)	(31,518,179)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(28,417,938)	(28,417,938)	(3,100,241)	(31,518,179)
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,488	(68,018,548)	(67,997,060)	(436,236)	(68,433,296)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „პრაიმ თაიმ“ (შემდგომში „კომპანია“, „მშობელი კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 6 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404409252. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, სანდრო ეულის ქუჩა, N5ა.

2021 წლის 12 თებერვალს კომპანიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-თან ერთად დააფუძნა სს „მედია ჰოლდინგი“ (ს/კ 405443872) (შემდგომში „შვილობილი კომპანია“), რომელშიც ფლობს მაკონტროლებელ 90%-იან პაკეტს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობად განისაზღვრება სამაუწყებლო & საინფორმაციო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 726 თანამშრომელი (2022: 791).

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

50% - გიორგი ქუთათელაძე, 01019016134

50% - თამარ ფხაკაძე, 01024032892

2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ჯგუფის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. ჯგუფის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ჯგუფი ამჟამად დგას საოპერაციო და ლიკვიდურობის პრობლემების წინაშე. ჯგუფის მენეჯმენტი ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებებს, რის საფუძველზეც შეძლებს არსებული ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის დამთხვევას. ამასთან, არსებული მოლაპარაკებების წარმატებით ვერ დასრულების შემთხვევაში, ჯგუფის მფლობელი მზად არის, დამატებითი ფული შენატანით გაზარდოს ჯგუფის კაპიტალი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფს ეწევა საქმიანობა. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშგებზე განთავსებულ თანხებს, რომლებსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე სასარგებლო-მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო-მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის შეძენის ხელშეკრულებაში მითითებული ვადების მიხედვით და დამოკიდებულია შეძენილი არამატერიალური აქტივის მახასიათებლებზე, როგორცაა მაგალითად სერიების რაოდენობა. ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგებაზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საზოგადოების არამატერიალურ აქტივის ძირითად ნაწილს შეადგენს პროგრამული უზრუნველყოფა და ფილმებისა - სერიალების ლიცენზიები.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

ჯგუფი არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ (Weighted-Average) მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც ჯგუფში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

ტელეკომპანია ახორციელებს მაუწყებლობას მთელი საქართველოს მასშტაბით და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საბავშვო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, გასართობი, იუმორისტული, ინტელექტუალური და დოკუმენტური გადაცემების ჩვენება სატელევიზიო ეთერით.

შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.-

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფი იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარესაა ნგარიშგებო პერიოდისთვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება ჯგუფისკონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად - ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

უიმედო მოთხოვნების დავალიანების გაუფასურების რეზერვი - ჯგუფი არ აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. როგორც წესი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. ხელმძღვანელობას არ აქვს შეფასებული უიმედო დებიტორული დავალიანებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავთო	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმო წყობა	ლიზინგით აღებული ქონება	სულ
ისტორიული ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	2,771,470	813,550	470,260	329,000	54,281	595,621	5,034,182
შემოსვლა	662,249	102,386	143,798	-	-	-	908,433
შიდა მოძრაობა	571,218	-	-	-	-	(571,218)	-
გასვლა	-	-	-	-	-	(24,403)	(24,403)
31 დეკემბერი 2022	4,004,937	915,936	614,058	329,000	54,281	-	5,918,212
შემოსვლა	247,746	331,643	134,300	-	32,490	-	746,179
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	4,252,683	1,247,579	748,358	329,000	86,771	-	6,664,391
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	360,790	107,252	70,561	49,350	3,591	-	591,544
ცვეთის ხარჯი	839,720	176,742	201,588	65,800	3,290	-	1,287,140
გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,200,510	283,994	272,149	115,150	6,881	-	1,878,684
ცვეთის ხარჯი	1,011,936	196,508	193,393	65,800	11,983	-	1,479,620
გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	2,212,446	480,502	465,542	180,950	18,864	-	3,358,304
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	2,410,680	706,298	399,699	279,650	50,690	595,621	4,442,638
31 დეკემბერი 2022	2,804,427	631,942	341,909	213,850	47,400	-	4,039,528
31 დეკემბერი 2023	2,040,237	767,077	282,816	148,050	67,907	-	3,306,087

ჯგუფი არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	3,196,767	121,468	960	3,318,235
შეძენა	3,678,292	23,601	6,250	3,708,143
გაყიდვა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	6,875,059	145,069	7,210	7,027,338
შეძენა	3,149,162	71,933	-	3,221,095
გაყიდვა	(134,736)	-	-	(134,736)
31 დეკემბერი 2023	9,889,485	217,002	7,210	10,113,697
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი 2021	727,815	35,299	-	763,114
ამორტიზაციის ხარჯი	2,322,149	66,697	1,615	2,390,461
გაყიდვა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,049,964	101,996	1,615	3,153,575
ამორტიზაციის ხარჯი	2,781,195	83,727	1,854	2,866,776
გაყიდვა	(55,917)	-	-	(55,917)
31 დეკემბერი 2023	5,775,242	185,723	3,469	5,964,434
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	2,468,952	86,169	960	2,556,081
31 დეკემბერი 2022	3,825,095	43,073	5,595	3,873,763
31 დეკემბერი 2023	4,114,243	31,279	3,741	4,149,263

ჯგუფი არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ არამატერიალურ აქტივებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 აქტივის გამოყენების უფლება

	შენიშვნა
ისტორიული ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	770,986
შეძენა	-
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2022	770,986
შეძენა	-
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2023	770,986
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2021	96,610
ამორტიზაციის ხარჯი	122,034
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2022	218,644
ამორტიზაციის ხარჯი	122,034
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2023	340,678
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	674,376
31 დეკემბერი 2022	552,342
31 დეკემბერი 2023	430,308

7 წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები არის 14,844 (2022: 38,454) ლარი, რომელიც მოიცავს წინასწარ გადახდილ დაზღვევისა და წინასწარ გადახდილი მომსახურებების ხარჯებს.

8 გაცემული სესხები

	31-12-23	31-12-22
ძირითადი თანხა	2,670,888	2,615,988
მისაღები პროცენტები	708,225	329,317
სულ გაცემული სესხები	3,379,113	2,945,305

სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეზე (შვილობილი კომპანიის 10%-იანი წილის მფლობელზე). სესხები გაცემულია ეროვნულ ვალუტაში და საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12,5%-დან 13,4%-მდე. წლის განმავლობაში მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 378,908 (2022: 302,174) ლარი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-23	31-12-22
სავაჭრო მოთხოვნები	6,087,003	4,291,728
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	37,329	21,732
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,201,140	920,443
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,325,472	5,233,903
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(779,897)	(540,693)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	6,545,575	4,693,210

საექვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

სტატუსი / ვადაგადაცილება	მიმდინარე	< 30	31-60	61-90	91-180	> 181
რეზერვის %	0%	2%	5%	25%	50%	100%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	522,606	4,510,516	291,782	28,183	131,728	602,188
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	-	(90,210)	(14,589)	(7,046)	(65,864)	(602,188)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	522,606	4,420,306	277,193	21,137	65,864	-

საექვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

სტატუსი / ვადაგადაცილება	მიმდინარე	< 30	31-60	61-90	91-180	> 181
რეზერვის %	0%	2%	5%	25%	50%	100%
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	708,170	3,029,897	57,569	16,700	12,700	466,692
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	-	(60,598)	(2,878)	(4,175)	(6,350)	(466,692)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	708,170	2,969,299	54,691	12,525	6,350	-

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

10 ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

	31-12-23	31-12-22
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	71	2,237
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	1,865	509
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	830,906	479,645
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,983	277
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	834,825	482,668

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 კაპიტალი

მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის იანვრის მდგომარეობით შეადგენს 12,000 ლარს. 2021 წლის განმავლობაში მოხდა მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა 9,488 ლარით და შეადგინა 21,488 ლარი. 2022 და 2023 წლების განმავლობაში მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

შვილობილი კომპანიის 10%-იანი წილის მფლობელმა კომპანიამ 2021 წელს შვილობილი საწესდებო კომპანიის კაპიტალი გაზარდა 6,786,681 ლარის ღირებულების არაფულადი შენატანით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი შეადგენს (436,236) ლარს (31 დეკემბერი 2022: 2,664,005 ლარს).

12 ფინანსური ვალდებულებები

	31-12-23	31-12-22
მიღებული სესხი - ძირითადი თანხა	77,239,550	44,289,332
მიღებული სესხი - გადასახდელი პროცენტები	4,878,347	1,951,344
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,781	4,635
სულ ფინანსური ვალდებულებები	82,120,678	46,245,311

სესხების ძირითადი ნაწილი მიღებულია ადგილობრივი იურიდიული პირისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარე. მიღებული სესხები არის მოკლევადიანი, მათი ნაწილი ნომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ნაწილი ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი & ევრო).

საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში მიღებულ სესხებზე მერყეობს 11,9%-დან 12,4%-მდე, საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარში მიღებულ სესხებზე შეადგენს 3%-ს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ევროში მიღებულ სესხებზე შეადგენს 6,9%-ს.

საპროცენტო ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 2,887,323 (2022: 1,281,983) ლარი.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-23	31-12-22
სავაჭრო ვალდებულებები	2,267,758	4,224,513
გადასახდელი ხელფასები	-	768,809
გადავადებული შემოსავალი	179,953	179,953
მიღებული ავანსები	76,084	97,155
სხვა ვალდებულებები	1,008,410	64,547
საგადასახადო ვალდებულებები	1,258,165	1,789,317
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,790,370	7,124,294

გადავადებული შემოსავალი მოიცავს სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისაგან“ მიღებულ თანხას სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმის შესაქმნელად.

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

14 სახელფასო ხარჯი

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	25,934,137	25,365,788
ბონუსი	634,484	622,188
დაზღვევა	89,161	20,274
სულ სახელფასო ხარჯი	26,657,782	26,008,250

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	4,468,430	3,799,631
მომსახურების ანაზღაურება	2,417,460	1,060,041
გადაცემის რეკვიზიტების ხარჯი	1,192,182	702,056
იჯარის ხარჯი	912,999	915,996
სხვა ტექნიკური ხარჯი	742,435	1,051,795
მთვლელი "კანტარი" - ტექნიკური	710,170	548,387
სარეკლამო მომსახურების საკომისიო	694,643	437,183
კომუნალური ხარჯი	627,764	629,700
მივლინების ხარჯი	623,086	835,198
საწვავის ხარჯი	555,653	682,904
კომუნიკაციის ხარჯები	445,080	457,805
სოციალური დანარიცხები	419,962	389,856
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	239,204	415,643
სატელიტური არხით მომსახურება საქ ფარგლებს გარეთ	228,170	157,289
დაცვის მომსახურება ადმინისტრაცია	271,017	254,237
საგადასახადო ანარიცხები*	157,482	140,185
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,488,378	1,485,940
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16,194,115	13,963,846

საიჯარო ხარჯები მოიცავს სიხშირეებისა და ანძის იჯარის ხარჯს, რომელიც არის ან მოკლევადიანი ან არ აქვს ფიქსირებული განაკვეთი და შესაბამისად, არ არის აღრიცხული როგორც აქტივის გამოყენების უფლება.

* საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა ჯგუფის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის.

16 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	403,312	302,174
დადებითი საკურსო სხვაობა	10,413,930	5,380,080
საპროცენტო ხარჯები	(2,887,323)	(1,281,983)
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(10,977,494)	(1,188,836)
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	(3,047,575)	3,211,435

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

17 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავალი	66,385	18,121
არასაოპერაციო ზარალი	(27,519)	(19,613)
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	38,866	(1,492)

18 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2023 საანგარიშგებო წლისათვის ჯგუფის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 (2022: 0) ლარი.

19 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

გთხოვთ, იხილეთ მე-8 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია 10%-იან აქციონერზე გაცემული სესხების შესახებ.

ჯგუფს არ აქვს სხვა საბალანსო ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2023 წლის შეადგინა 1,167,798 (2022: 1,225,261) ლარი.

20 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ჯგუფისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

21 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხი	3,379,113	2,945,305
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,124,332	4,313,460
ფული და ფულის ექვივალენტები	832,889	479,922
სულ ფინანსური აქტივები	10,336,334	7,738,687
ფინანსური ვალდებულებები		
ფინანსური ვალდებულებები	82,120,678	46,245,311
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,714,286	7,027,139
სულ ფინანსური ვალდებულებები	86,834,964	53,272,450

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება ჯგუფის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფის მიღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების დიდი ნაწილი გამოხატულია უცხოურ ვალუტაში (ევროსა და ამერიკულ დოლარში), შესაბამისად, ჯგუფის მგრძნობელობის მაჩვენებელი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით არსებითია:

31 დეკემბერი 2023

31 დეკემბერი 2023	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	2,301	(78,140,362)	(78,138,061)
ევრო	1,269	(992,644)	(991,375)

31 დეკემბერი 2022

31 დეკემბერი 2022	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	272	(42,436,947)	(42,436,675)
ევრო	12	(1,129,926)	(1,129,915)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზეგავლენა მოგება-ზარალზე - 2023

	ზეგავლენა მოგება-ზარალზე (31 დეკემბერი, 2023)
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(7,813,806)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	7,813,806
ევროს 10%-ით გამყარება	(99,137)
ევროს 10%-ით გაუფასურება	99,137

ზეგავლენა მოგება-ზარალზე - 2022

	ზეგავლენა მოგება-ზარალზე (31 დეკემბერი, 2022)
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(4,243,668)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	4,243,668
ევროს 10%-ით გამყარება	(112,991)
ევროს 10%-ით გაუფასურება	112,991

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <
გაცემული სესხი	3,379,113	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,124,332	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	832,889	-	-
სულ ფინანსური აქტივები	10,336,334	-	-
ფინანსური ვალდებულებები	82,120,678	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,714,286	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	86,834,964	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	(76,498,630)	-	-

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ლიკვიდურობის ბალანსი.

	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე <
გაცემული სესხი	2,945,305	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,313,460	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	479,922	-	-
სულ ფინანსური აქტივები	7,738,687	-	-
ფინანსური ვალდებულებები	46,245,311		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,027,139		
სულ ფინანსური ვალდებულებები	53,272,450	-	-
ლიკვიდურობის პოზიცია	(45,533,763)	-	-

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

22 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 24 და 27 ნოემბერს მშობელმა კომპანიამ არადაკავშირებული მხარისგან სესხად მიიღო 5,620,000 ლარი და შეავსო შვილობილი კომპანიის (სს „მედია ჰოლდინგი“) კაპიტალი 5,619,800 ლარით.

შპს „პრაიმ თაიმ“ (ს/ნ:404409252)
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2023

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „პრაიმ თაიმ“ (შემდგომში „კომპანია“, „მშობელი კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 6 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404409252. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, სანდრო ეულის ქუჩა, N5ა.

2021 წლის 12 თებერვალს კომპანიამ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-თან ერთად დააფუძნა სს „მედია ჰოლდინგი“ (ს/კ 405443872) (შემდგომში „შვილობილი კომპანია“), რომელშიც ფლობს მაკონტროლებელ 90%-იან პაკეტს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობად განისაზღვრება სამაუწყებლო & საინფორმაციო მომსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 791 თანამშრომელი (2021: 691).

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

50% - გიორგი ქუთათელაძე, 01019016134

50% - თამარ ფხაკაძე, 01024032892

2. ჯგუფის განვითარების გეგმები

შპს „პრაიმ თაიმ“-ის მიზანია, თანამედროვე მედიაბაზრის კონკურენტულ პირობებში შეინარჩუნოს ლიდერის პოზიცია და მომხმარებელს მიაწოდოს გადამოწმებული ინფორმაცია. კომპანია ორიენტირებულია არა მხოლოდ ჟურნალისტიკის განვითარებაზე, არამედ ახალი შესაძლებლობების შექმნაზე პროფესიონალი კადრებისთვის. კომპანია ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლების ეფექტურ შრომას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და კარიერულ განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება მედიაპროდუქტის ხარისხზე.

„პრაიმ თაიმ“-ისთვის მთავარი პრიორიტეტი არის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და ინოვაციური პროექტების განხორციელება, რაც მოიცავს პლატფორმების განვითარებას, ციფრული მედიის გაფართოებას და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მომსახურებებს. ამის შედეგად, „პრაიმ თაიმ“ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას მედიასფეროში და განაგრძობს მომხმარებლის ნდობის გაძლიერებას.

შვილობილი კომპანიის სს „მედია ჰოლდინგი“-ის მიზანია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნოს რეიტინგი და მაყურებელს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროექტები და მიაწოდოს სანდო ინფორმაცია. თანამედროვე გამოწვევების ფონზე, სს „მედია ჰოლდინგი“-ის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ კომპანია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, პირობებს ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს სატელევიზიო პროდუქტის ხარისხი.

შპს „პრაიმ თაიმ“
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სს „მედია ჰოლდინგ“-ი და მისი ჯგუფი ორიენტირებულია მსხვილი და ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მრავალწლიანი გამოცდილებით, კონკურენტუნარიან გარემოპირობებში სატელევიზიო ბაზარზე იქნება ლიდერის პოზიციაზე.

3. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ გააჩნია.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შპს „პრაიმ თაიმ“-ი განვითარების სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტები აქვს განხორციელებული. მათ შორის არის წიგნი „გმირი“ და „წითელი ყაყაჩოები“, რომლებიც შექმნილია თაობებისთვის; „გიგო გაბაშვილი როგორც ფოტოხელოვანი“; ლაივ სტრიმინგის პიონერობა ქართულ მედიასივრცეში.

შპს „პრაიმ თაიმ“-ში მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება, რაც მიზნად ისახავს კონკრეტულ სფეროში სიახლეების გაცნობას, კვალიფიკაციის ამაღლებას და საინფორმაციო სააგენტოში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. კომპანიის თანამშრომლები მუდმივად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა მედიასემინარებში და ტრენინგებში.

საინფორმაციო სააგენტო www.primetime.ge როგორც ერთ-ერთი ლიდერი მედია მედიასაშუალება საქართველოში, მუდმივად ცდილობს ციფრული ტექნოლოლოგიების გამოყენებით გააძლიეროს და განავითაროს მედიაპროდუქტი. სააგენტოს მიზანია არამხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ ახალი აუდიტორიის მოზიდვა და რეიტინგის ზრდა ციფრული ანალიტიკის გამოყენებით.

შპს „პრაიმ თაიმ“ გუნდთან ერთად ყოველკვირეულად აანალიზებს და აწარმოებს შიდა კვლევას, მედიაპალტფორმის ეფექტურობის და რეიტინგის გასაუმჯობესებლად. საუკეთესო შედეგის მისაღებად კომპანია მუდმივად იყენებს ციფრულ ანალიტიკას. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს არამხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე, არამედ კონკრეტული აუდიტორიის ქცევაზე, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რა ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია მკითხველს.

შპს „პრაიმ თაიმ“-ი აქტიურად მუშაობს განვითარების მიმართულებით. ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „პრაიმ თაიმ“-ის აპლიკაციის შექმნა. აპლიკაციის გამოყენება მომხმარებლებისთვის ძალიან მარტივი და კომფორტულია. ასევე, „პრაიმ თაიმ“-მა განახორციელა ციფრული პლატფორმის რეფორმა და განახლება, რაც მოიცავს ვებ-გვერდის სტრუქტურის და ფუნქციონალის გაუმჯობესებას.

შპს „პრაიმ თაიმ“-ის შიდა კვლევები და განვითარების სტრატეგიას აქვს კონკრეტული შედეგები. სააგენტო მომავალშიც ეცდება გამოიყენოს ის შესაძლებლობა, რასაც თანამედროვე ციფრული გარემო იძლევა, რათა განავითაროს თავისი პოზიციონირება მედიაბაზარზე.

შპს „პრაიმ თაიმ“
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას.

არაფინანსური მაჩვენებლები:

კომპანიის გუნდი: შპს „პრაიმ თაიმ“-ს ყავს ძლიერი, ერთგული და გამოცდილი მედია გუნდი, რომლებიც ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობაში არსებით როლს ასრულებს. მუდმივად ვცდილობთ, შევქმნათ ეფექტური პირობები კარიერული განვითარებისთვის. კომპანია ცდილობს, ადეკვატური ანაზღაურების და დამატებით ბონუსების გაცემას.

ჯანსაღი გარემო - მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თანამშრომლთა კეთილდღეობისთვის, არამედ ორგანიზაციის წარმატებისთვის. შესაბამისად, კომპანიაში არის შემქნილი ჯანსაღი გარემო და და თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისთვის.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფის მხრივ საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვა არ მომხდარა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გამოვყოფთ პოტენციურ რისკებს და გაურკვევლობებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის განვითარებაზე:

- სარეკლამო შემოსავლების შემცირება - ბაზრის მოთხოვნის შემცირება პირდაპირ მოქმედებს სარეკლამო შემოსავლებზე, რაც მედია პლატფორმებისთვის მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. სარეკლამო ბაზრის შემცირების მიზეზი შესაძლოა იყოს: ეკონომიკური კრიზისი - როდესაც კომპანიები სარეკლამო ხარჯებს ამცირებენ ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით.
- კონკურენტული გარემო - ცნობილია, რომ მედია ინდუსტრია ხასიათდება კონკურენციით. ახალი პლატფორმების გაჩენა, არსებული პლატფორმების განვითარება და ინოვაციური სიახლეების დანერგვა, საფრთხეს ქმნის ლიდერობის შენარჩუნებას.
- მომხმარებელთა ქცევის ცვლილება - მომხმარებელთა ინტერესების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს აუდიტორიის შემცირება, რას შესაბამისად საბოლოო ჯამში ფინანსებზე აისახება.
- სარეკლამო წესების გამკაცრება - სარეკლამო შინაარსის შეზღუდვა იწვევს შემოსავლის შემცირებას
- ტექნოლოგიური გაუმართაობა - როგორებიცაა სერვერის ავარიები და კიბერთავდასხმები.
- გარე ფაქტორები - ეკონომიკური მოვლენები, კრიზისები და პანდემიები გავლენას ახდენს მედია ბიზნესის ფინანსებზე.

შპს „პრაიმ თაიმ“-ის მიზანია, შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის და მოქნილობის გაუარესების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში კომპანია იღებს რჩევებს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

შპს „პრაიმ თაიმ“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო რისკ-ფაქტორები, რომელთაგან გამოვყოფთ შემდგომს:

- კონკურენტული გარემო, მაყურებლისა და რეიტინგის შენარჩუნება;
- დაფინანსების მოპოვება

ტელევიზიის საქმიანობა რეგულირდება, შიდა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით. აგრეთვე კომპანია პრაქტიკაში აქტიურად იყენებს და ითვალისწინებს საერთაშორისო განაწესებსა და რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტანტებისაგანაც იღებს რჩევებს იმ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საქმიანობის სფეროს, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

31 დეკემბერი 2024

შპს „პრაიმ თაიმ“

დირექტორი

გიორგი ქუთათელაძე

შპს „პრაიმ ტაიმ“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო რისკ-ფაქტორები, რომელთაგან გამოვყოფთ შემდგომს:

- კონკურენტული გარემო, მაყურებლისა და რეიტინგის შენარჩუნება;
- დაფინანსების მოპოვება

ტელევიზიის საქმიანობა რეგულირდება, შიდა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით. აგრეთვე კომპანია პრაქტიკაში აქტიურად იყენებს და ითვალისწინებს საერთაშორისო განაწესებსა და რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური კონსულტანტებისაგანაც იღებს რჩევებს იმ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება საქმიანობის სფეროს, რათა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდეს სამეწარმეო საქმიანობა.

რისკ-ფაქტორად შესაძლოა სამომავლოდ იქნეს განხილული მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების იმგვარი ცვლილებები, რომლებიც არსებითად შეაფერხებს კომპანიის საქმიანობას.

31 დეკემბერი 2024



შპს „პრაიმ ტაიმ“

დირექტორი

გიორგი ქუთათელაძე

